

დამტკიცებულია სსიპ პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“

დირექტორის 2012წლის 04 იანვრის ბრძანებით #2

სსიპ პროფესიული კოლეჯი

„თეთნულდი“

განვითარების გეგმა

(ექვსწლიანი)

მესტია

2012წ

შესავალი

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურმა რეფორმებმა განაპირობა მზარდი მოთხოვნა კვალიფიციურ და პროფესიულ კადრებზე. მოსახლეობას გაუჩნდა სურვილი გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების. პროფესიულ კოლეჯებს მიმართავენ როგორც საბაზო განათლების, ასევე უმაღლესი განათლების მქონე პირები. ქვეყანაში არსებული მაღალი უმუშევრობის დონის გამო, არსებულ ვაკანსიებზე მაღალი მოთხოვნა ფიქსირდება, რაც თავისთავად განაპირობებს შრომით ბაზარზე მაღალ კონკურენციას და ცოდნის და კვალიფიკაციის გაზრდის მოტივაციას. დღევანდელი კვლევების მიხედვით ყველაზე დიდი მოთხოვნა ფიქსირდება მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, მომსახურების და ტურიზმის სფეროებში. მშენებლობის სფეროში ორგანიზაციების მხრიდან მოთხოვნადი პროფესიებია: კალატოზი, მეფილე-მომპირკეთებელი, შემდუღებელი, ელექტრომემონტაჟე, სანტექნიკოსი, დურგალი, მეავეჯე. ტურიზმის სფეროში ყველაზე დიდი მოთხოვნა ფიქსირდება სასტუმრო საქმისა და სარესტორნო საქმის სპეციალისტებზე, ბარმენზე, მზარეულზე, მაშველზე, ტურ-ოპერატორსა და გიდზე; მომსახურების სფეროში მოთხოვნადი პროფესიებია: მიმტანი, ბარმენი. ხელოვნების სფეროდან-თეატრის ხელოსანი, დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი, ხეზე მხატვრული ჭრის სპეციალისტი, ტიხრული მინანქარის სპეციალისტი.

საკითხის აქტუალობა, პროექტის მიზანი და ამოცანები

ზემო სვანეთში ბოლო წლებში განხორციელებულმა საინვესტიციო პროექტებმა, ინფრასტრუქტურის განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების აუცილებლობა. შესაბამისად კოლეჯის მიზანია: სვანეთის უმუშევარი მოსახლეობისთვის რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების შეთავაზება; მათი პროფესიული მომზადება-გადამზადება; მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა; უმუშევრობისა და სვანეთის მოსახლეობის მიგრაციის შემცირება; რეგიონის უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით. ამ მიზნით აუცილებელია პროფესიული კოლეჯის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება-გაფართოება, საგანმანათლებლო პროგრამების გაღრმავება და გავრცობა, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და შევსება, სტუდენტებისთვის ცხოვრებისა და სწავლის პირობების შექმნა. პროფესიული კოლეჯი „თეთნულდი“ ერთადერთია მაღალმთიან საზღვრისპირა რეგიონში და მნიშვნელოვანი მისიას შეასრულებს სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავალსაზრისით.

სიტუაციური ანალიზი და პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ განვითარების აუცილებლობა

სვანეთის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები მთლიანად ტურიზმის განვითარებასთანაა დაკავშირებული. სვანეთის მრავალფეროვანი, ლამაზი და ჯანსაღი ბუნება, საკურორტო სეზონის კლიმატის ზომიერება, ბუნებისა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის თანაარსებობის მრავალფეროვნება, ეკოლოგიური სისუფთავე იდეალურ პირობებს ქმნის ტურიზმის განვითარებისათვის წელიწადის ყველა დროს უწყვეტად. ამიტომ იქნა აღიარებული სვანეთის ეკონომიკის მყისიერი გაუმჯობესების საშუალებად ტურიზმი და ამ მიმართულებით დიდი ინვესტიცია განხორციელდა. სამი წლის განმავლობაში სვანეთში განხორციელდა რამოდენიმე ასეული მილიონის ინვესტიცია ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-განვითარების მიზნით. დასრულებულია ჯვარი-ხაიში -მესტიის ახალი საავტომობილო გზატკეცილის მშენებლობა, მიმდინარეობს სასტუმროების, რესტორნების, კაფეების, სათხილამურო ტრასების, საბაგირო გზების მშენებლობა. მიმდინარეობს კურორტ „თეთნულდის“ მშენებლობა, სადაც ასობით ადამიანი დასაქმდება. პრიორიტეტულ მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს სამშენებლო და სოფლის მეურნეობის დარგების განვითარება. მესტიის მუნიციპალიტეტში ტურისტული ნაკადის ზრდამ გააჩინა დეფიციტი ადგილობრივ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე. ზემო სვანეთში სოფლის მეურნეობა ძირითადად შინამეურნეობების და ოჯახური ტიპის მცირე საწარმოებისგან შედგება. წამყვანი დარგია მესაქონლეობა და მებოსტნეობა. ოჯახური მიწის ნაკვეთები მცირე ზომისაა. დიდია მოთხოვნა ადგილობრივ ნატურალურ ეკოლოგიურად სუფთა ნაწარმზე. პროდუქციის გაუმჯობესება და პროდუქტიულობის ზრდა, ჯიშთა გაუმჯობესება და ახალი, რენტაბელური ტექნოლოგიების დანერგვა მოითხოვს სათანადო ცოდნას და კვალიფიკაციას, ვინაიდან გაჩნდა მოთხოვნა მცირე ტექნიკაზე, ვეტ/ლაბორატორიებზე, მცირე გადამამუშავებელ საწარმოებზე და სხვ. სოფლის მეურნეობის პროგრამა ამ გამოწვევებს უპასუხებს. არსებული სასწავლო პროგრამების გაძლიერებაში მოიაზრება მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერება. ვინაიდან შეუძლებელია დაეუფლო პროფესიას მხოლოდ თეორიული ცოდნის მიღებით. სვანეთში განსაკუთრებით ტრადიციული დარგია მეფუტკრეობა. სვანური თაფლი არის უნიკალური თვისებების, რის გამოც მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს მას. მეფუტკრეობის რაციონალურ ყაიდაზე მოწყობა შეიძლება გახდეს სვანეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი წყარო. დიდი პერსპექტივები გააჩნია ხე-ტყის წარმოება-გადამუშავებას. სვანეთის ტყე მდიდარია ძვირფას მერქნიანი ჯიშებით. ხალხური რეწვის დარგების აღორძინება სვანეთის ტურისტული ბაზრის მოთხოვნაა. ეს არის სვანური ქუდების, ძვირფასი ხის სუვენირების, თექისა და გობელენის ნიმუშების ფართო მასშტაბით წარმოების აუცილებლობა, ამით მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. რეგიონალური განვითარების პროექტები ადგილობრივი მოსახლეობისათვის ქმნის დასაქმების დიდ პოტენციალს, რაც მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს.

პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ განვითარებისა და საქმიანობის პირობები

პროფესიული კოლეჯი „თეთნულდი“ მდებარეობს ქ. მესტიაში ერეკლე ფარჯიანის ქ#25; ტ, 790 75 50 07, 577 58 24 24 ელ-ფოსტა tetnuldi68@gmail.com, ვებგვერდი www.TeTnuldi.edu.ge პროფესიული კოლეჯი „თეთნულდი“ წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება # 1118–ის და იუსტიციის სამინისტროს მიერ 2007 წლის 19 ნოემბერს, სახელმწიფო რეგისტრაციის კოდით 040. 030.000.22.022.011.130 კოლეჯის სტატუსით დაარსდა 2011წ 6 მაისს. იგი არის სამართალმემკვიდრე მესტიის პროფესიული სწავლების ცენტრის, რომელიც დაფუძნდა 2006 წელს მესტიის პროფესიული ლიცეუმის ბაზაზე. კოლეჯის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ცენტრი

დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებით, “პროფესიული განათლების შესახებ” და “საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” საქართველოს კანონებით, კოლეჯის წესდებით, ასევე სხვა ნორმატიული აქტებით.

პროფესიული კოლეჯის ყველა თანამშრომელი ხელმძღვანელობს დამტკიცებული შინაგანაწესით მათზე დაკისრებული ფუნქციონალური მოვალეობებიდან გამომდინარე და საშტატო განრიგის შესაბამისად. კოლეჯს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

კოლეჯი 2013-2014სასწავლო წელს აცხადებს მიღებას შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- 1.დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი;
2. მზარეული;
3. გიდი;
4. .სარესტორნო საქმის მწარმოებელი;
5. სასტუმრო საქმის სპეციალისტი;
6. კალატოზი;
7. მეფილე-მომპირკეთებელი;
8. შემდუღებელი;
9. დურგალი;
- 10.ინფორმაციული ტექნოლოგი;
11. ბუღალტერი.

თითოეულ პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია. აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა და შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამა (სილაბუსები)

კოლეჯის სარგებლობაში არსებული მიწის ფართობი შეადგენს 3,13ა. კოლეჯის მთავარი შენობის საერთო ფართი შეადგენს 1252კვმ, შენობა ორსართულიანია, პირველ სართულზე განლაგებულია თანამედროვე ტიპის ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო სახელოსნოები და ლაბორატორიები, სპორტული დარბაზი, ხოლო მეორე სართულზე განთავსებულია ადმინისტრაცია, სასწავლო კაბინეტები თეორიული სწავლებისათვის, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი. კოლეჯის ეზოს ტერიტორიაზე შესაძლებელია სადურგლო საამქროს აშენება და შენობის პირველი სართულიდან სახელოსნოს გადმოტანა, რადგან დღეს არსებული საამქრო ძალიან პატარა ფართობია განთავსებული და ვერ ხერხდება მთელი დატვირთვით მისი ამუშავება. ასევე მნიშვნელოვანი იქნება სხვა სახელოსნოების გადატანა ცალკე, კოლეჯის საკუთრებაში არსებულ ერთსართულიან შენობაში, რომელიც საჭიროებს კაპიტალურ რემონტს, სარემონტო სასწავლებლის ძირითადი შენობა, მოსაწყობია ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის. საჭიროა მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განახლება და სრული აღჭურვა. რაც შეეხება კოლეჯის სტუდენტურ საცხოვრებელს, რომლის ფართია 2368კვმ, მისი რეაბილიტაცია და სტუდენტური სასტუმროს მოწყობა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა კოლეჯის მომავალი განვითარებისათვის. მესტიის მუნიციპალიტეტი 137 კმ-ზეა

გადაჭიმული. სოფლის მოსახლეობა რაიონული ცენტრიდან დაშორებულია, მესტიის მუნიციპალიტეტში შედის 16 ადმინისტრაციული ერთეული თავისი პატარა სოფლებით, რომლებიც განლაგებულია გზის გასწვრივ სხვადასხვა მანძილზე მესტიიდან საშუალოდ 70 კმ-ით. მუნიციპალიტეტის შიგნით მოწესრიგებული სატრასპორტო მიმოსვლა არ არსებობს. მკაცრი კლიმატის პირობებში კი ყოველდღიური მიმოსვლა წლის 8 თვის განმავლობაში ახლო მდებარე სოფლებიდანაც გართულებულია. ამდენად, მესტიის გარდა, კოლეჯში სწავლა ხელმისაწვდომია უახლოესი 3 სოფლის მოსახლეობისთვის: მულახი, ლენჯერი, ლატალი, რაც ვერ უზრუნველყოფს კოლეჯის სრულ დატვირთვას. სამეგრელო-ზემო სვანეთის სხვა მუნიციპალიტეტებშიც ვითარდება ტურიზმი. პოტენციურად კოლეჯის ბენეფიციარები შეიძლება გახდნენ სასაზღვრო მუნიციპალიტეტების მსხვილი სოფლები და დაბების მაცხოვრებლებიც. კოლეჯში არაერთხელ შემოსულა განცხადებები ქალაქებიდან. მთის ტურიზმი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, ამიტომ ჩვენი გამოცდილება საინტერესო იქნება საქართველოს სხვა მთიანი რეგიონებისთვისაც.

საერთო საცხოვრებელი საშუალებას მოგვცემს კოლეჯში სწავლება ხელმისაწვდომი გახდეს მესტიის მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის მაცხოვრებლისთვის, მოიცვას სამეგრელო-ზემო სვანეთი და საქართველოს მთიანეთი. სასწავლებელს გაუჩნდება საშუალება მოიწვიოს სპეციალისტები ხანგრძლივი დროით.

საცხოვრებელი პირობების შექმნის შემთხვევაში კოლეჯი სრულად დაიტვირთება, შესაძლებელი იქნება კოლეჯში ერთდროულად 200-250 სტუდენტმა ისწავლოს.

პროფესიული განათლების კანონის შესაბამისად, კოლეჯის უმაღლესი მართვის ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება 5 წევრისაგან. საბჭოსთან შეთანხმებით დირექტორი იმავე კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების ფარგლებში ანხორციელებს კოლეჯის მართვას თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად: თანამდებობრივი ინსტრუქცია ეყრდნობა `პროფესიული განათლების შესახებ` საქართველოს კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, პროფესიული სწავლების ცენტრის ზოგადი დებულების და `საქმის წარმოების ერთიანი წესები` დამტკიცებულს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის #414 ბრძანებულებით. კოლეჯის თანამშრომლები ინიშნება და თავისუფლდება კოლეჯის დირექტორის მიერ. შვებულების ან დროებითი შრომისუუნარობის დროს თანამშრომლის მოვალეობა შეიძლება დაეკისროს ამავე კოლეჯის სხვა მუშაკს დირექტორის მიერ გამოცემული სამართლებრივ-ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე. თანამშრომლები ექვემდებარებიან დირექტორს და ადმინისტრაციული მართვის სტრუქტურის შესაბამისად იმ პირებს, რომლებთანაც ძირითადი სამსახურებრივი ვალდებულებები გააჩნიათ. თანამშრომლები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით. პროფესიული კოლეჯის წესდებით, შინაგანაწესით, შრომითი ხელშეკრულებით, წინამდებარე ინსტრუქციით და დირექტორის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტებით. თანამშრომელი იცავს ადამიანის უფლებათა დეკლარაციასა და ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციას, საქართველოს მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის ნორმებს, ტოლერანტობის, ჰუმანურობის, სუბორდინაციის, კოლეგიალობისა და სხვა პრინციპებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროფესიული განათლების განვითარების მხრივ ერთ-ერთი ძირითად ხედვას წარმოადგენს სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, რაც თავისთავად პოზიტიური მოვლენაა, მაგრამ კოლეჯებში არსებული მასწავლებლები მოუმზადებლები არიან ზრდასრულ ადამიანებთან ადექვატურად საშუალოდ. ასეთ პირობებში კი შეუძლებელია შრომის ბაზრის მოწესრიგება და სათანადო კადრებით არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილება. პროფესიული მომზადების ხარისხი დამოკიდებულია მასწავლებელთა კვალიფიკაციაზე. სასურველია გადამზადების პროგრამების გავლა პროფესიულ კოლეჯებში მომუშავე მასწავლებლებისათვის. ამჟამად პროფესიული კოლეჯების 40 %-ს გავლილი აქვს სხვადასხვა ტიპის ტრენინგი. ქვეყანაში არსებული უმაღლესი სასწავლებლები არ ამზადებენ პროფესიული სწავლების მასწავლებლებს, რის გამოც კოლეჯებში ახალგაზრდა მასწავლებელთა სიმწირე აღინიშნება.

საბედნიეროდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქვეყანაში არსებობს მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების მუდმივმოქმედი სისტემა, რაც ხელს შეუწყობს კვალიფიციური მასწავლებლების გაზრდას. პროფესიული განათლების სისტემა ათწლეულების განმავლობაში არაპრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენდა, სადაც არც სიახლეების დანერგვა ხორციელდებოდა და შესაბამისად არც რეფორმების გატარებას ჰქონია ადგილი. ამის გამო მწირია გამოცდილება ისეთ საკითხებში, როგორცაა სოციალურ პარტნიორობის აქტიური ჩართულობის მექანიზმები, პროფესიული სტანდარტები და კვალიფიკაციები, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და მათი შეფასება, პერსონალის მომზადება/გადამზადება და სახელმძღვანელოებისა და საწავლო მასალების შემუშავება/შეფასება. კანონის მიხედვით, პროფესიულმა კოლეჯებმა ინსტიტუციური ავტორიზაცია უნდა გაიარონ. ავტორიზაციის მიზანია დაწესებულების რესურსული შესაძლებლობების შესაბამისობის დადგენა სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან. დღეისათვის ქვეყანაში უკვე არსებობს ხარისხის კონტროლის მექანიზმი ინსტიტუციურ და პროგრამულ დონეზე.

სამწლიან პერსპექტივაში კოლეჯის განვითარების გეგმა ითვალისწინებს კოლეჯის სრულ რეაბილიტაციას, მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, სასწავლო პროგრამების გადრეწვას და ახალი პროგრამების დანერგვას, რაც შესაძლებელს გახდის სამუშაოს კვალიფიკაციის IV და V დონეების უზრუნველყოფას, რისთვისაც კოლეჯი გაივლის შესაბამის ავტორიზაცია-აკრედიტაციას.

დღევანდელი მდგომარეობით კოლეჯის ადმინისტრაციული რესურსის 70%-სა და პედაგოგიური რესურსის 80%-ს გავლილი აქვს სხვადასხვა ტიპის ტრენინგი.

პროფესიული კოლეჯის მომსახურე პერსონალის საერთო როდენობა შეადგენს 32 კაცს

მათ შორის:

ადმინისტრაცია – 9

პედაგოგი – 13 ,

დამხმარე პერსონალი –10

პოზიცია	საშტატო ერთეულის რაოდენობა	სულ თვეში სახელფასო ფონდი	სულ წელიწადში სახელფასო ფონდი
ადმინისტრაცია	9	6800.00	81 600.00
დამხმარე პერსონალი	10	3950.00	47 400.00
მასწავლებელთა რესურსი	13	5782.00	69 384.00
სულ:	32	16 532.00	198 384.00

მასწავლებლების განაწილება განათლების დონის მიხედვით

	მასწავლებლები
--	---------------

კვალიფიკაცია	რაოდენობა	%
დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხი	–	–
მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხი	13	65
ბაკალავრის ხარისხი	–	–
საშუალო პროფესიული განათლების დიპლომი	3	2
დაწყებითი პროფესიული განათლების დიპლომი	-	-
ს უ ლ	16	

მასწავლებლების განაწილება ასაკის, სქესის და რაიონების მიხედვით

მასწავლებელთა რაოდენობა		სულ
ასაკი	22-30	2
	30-50	7
	50-60	5
	60 და მეტი	2
სქესი	ქალი	11
	კაცი	8
განათლების დონე	საბაზო	0
	საშუალო-ტექნიკური	3
	უმადლესი	13
სულ:		16

პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ განვითარებისა და საქმიანობის

ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- ❖ პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება;
- ❖ გამოცდილი მასწავლებელთა და სამეურნეო პერსონალი;
- ❖ განახლებული საორგანიზაციო სტრუქტურა და მართვის სისტემა;
- ❖ მასწავლებელთა რესურსის რეფორმისადმი მზაობა;
- ❖ სტუდენტებისა და თანამშრომლების ფართო მონაწილეობა კოლეჯის მართვის პროცესში
- ❖ კრედიტების დაგროვების სისტემის შემოღება
- ❖ შეფასების ახალი სისტემა;

- ❖ ინფრასტრუქტურის განახლება და გაუმჯობესება;
- ❖ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა;
- ❖ თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

სუსტი მხარეები:

- ❖ ფინანსური რესურსების სიმცირე;
- ❖ კურსდამთავრებულთა დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობა;
- ❖ მასწავლებელთა პერსონალის გადამზადების სისტემის აუცილებლობა;
- ❖ სასწავლო პროცესში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ნაკლებად გამოყენება;
- ❖ სასწავლო პროგრამების არასრულფასოვნება;
- ❖ არასრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

შესაძლებლობები:

- ❖ საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრაცია;
- ❖ პროგრამების დივერსიფიკაცია;
- ❖ სწავლებისა და სწავლის ხარისხის უზრუნველყოფისათვის შესაბამისი საორგანიზაციო სტრუქტურის ჩამოყალიბება
- ❖ მასწავლებელთა გადამზადების სისტემის შექმნა
- ❖ სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო მოდელის შექმნა
- ❖ პერონალის მოტივაციის გაზრდა (დაინტერესება)
- ❖ სასწავლო პროგრამების განახლება
- ❖ საზოგადოებრივი კოლეჯის აკრედიტაციის მიღწევა

საფრთხეები:

- ❖ შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში კოლეჯის შემდგომი განვითარების შეზღუდვა;
- ❖ სტუდენტური საცხოვრებელის არ არსებობა

იმისათვის, რომ პროფესიულმა კოლეჯმა მეტად უზრუნველყოს რეგიონის შრომის ბაზრის დაკმაყოფილება სათანადო ცოდნისა და უნარების მქონე სპეციალისტებით განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება:

- ❖ ხარისხის შეფასების ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას.
- ❖ საჭიროა შრომის ბაზრის კვლევის შედეგებზე ორიენტირებული სწავლება.
- ❖ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება.
- ❖ დამსაქმებელთა ჩართვა საგამოცდო პროცესში.
- ❖ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მეტად განვითარება.
- ❖ სტუდენტური საცხოვრებელის რეაბილიტაცია-მოწყობა.
- ❖ სასწავლო პროგრამების დახვეწა სტანდარტის შესაბამისად.

კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011წლის 3 თებერვლის #9/ნ ბრძანების შესაბამისად. პროფესიული განათლების მიღების უფლების რეალიზაციის მიზნით კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლებით დაინტერესებულ პირებს კონსულტაციებით პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობების, მომავალი პროფესიული საქმიანობისა და დასაქმების პირობების შესახებ. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე არაფორმალური განათლების აღიარების მარეგულირებელი წესი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კურსდამთავრებულთა 67% დასაქმებულია. კოლეჯს გააჩნია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქმიანი პარტნიორული ურთიერთობების კარგი გამოცდილება, მათ შორის ისეთ ორგანიზაციებთან როგორცაა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო–USAID გაეროს განვითარების პროგრამა –UNDP. კოლეჯი მომავალშიც გეგმავს სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციასთან ურთიერთობებს, რაც თავის მხრივ ერთ–ერთი გზაა პროფესიულ განათლებაში ახალი მიდგომების, უნარ–ჩვევების დანერგვისა და კოლეჯის მიზნების რეალიზაციისათვის.

ხუთწლიან პერსპექტივაში კოლეჯის განვითარების გეგმა ითვალისწინებს კოლეჯის სრულ რეაბილიტაციას, მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, სასწავლო პროგრამების გაღრმავებას და ახალი პროგრამების დანერგვას, რაც შესაძლებელს გახდის სამუშაოს კვალიფიკაციის IV და V დონეების უზრუნველყოფას, რისთვისაც კოლეჯი გაივლის შესაბამის ავტორიზაცია-აკრედიტაციას. კოლეჯი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ პროფესიული განათლება იყოს მიმზიდველი, შექმნას სტუდენტისთვის სასურველი გარემო, რისთვისაც მეტად განვითარებთ სოციალურ პარტნიორობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დონორებთან, ბიზნესის წარმომადგენლებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

პროფესიული კოლეჯი „თეთნულდი“ იქნება მაღალმთიან რეგიონში ყველასთვის მიმზიდველი და სასურველი საგანმანათლებლო დაწესებულება.

